რედაქცია

ოფიცერ-ქუჩაზე, ...ბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუკრასპ რეფუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

...ობენ „დროებაში“ - „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებისათვის: Въ Тифлисѣ, въ редакціи „Дроэба“ - „Иверіи“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

		წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს
„დროება“-„ივერია“ ერთად		13 მან.	7 მან.	4 მ.
ცალკე	„დროება“	9 მან.	5 მან.	3 მ.
	„ივერია“	6 მან.	4 მან.	2 მ.

ცალკე ნომერი, „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ნაკლებ-ფასიანი ... რულით ასოზე ნახევარი კაპ. ნაკლებ-ფასიანი ასოთი ასოზე შეოთხედი კაპ.

თუ ხაჭირდება შეოთხეკზ, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით კერ დაუბრუნებს ბუტრუკს.

განცხადება შეიძლება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

წმ. იოანე მოციქულის დღესასწაულის გაჰო ხვალ, შაბათს, გაზეთი არ გამოვა.

1 ენკენისთვიდამ წლის დამლევამდის

დროება

ღირს სამი მანეთი

ივერია

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი

ტელეგრამები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

ბერლინი, სექტემბერს. გერმანიის ბანკმა მოუკლო კეკსილების დისკონტს 5%; სარგებლიან ქაღალდების გასასესხებლად 6%.

პარიჟი. ოსმალეთის ნოტა ბიდების უდირსად ჩათვალეს. ევროპა სახელმწიფოებს ჭსურთ მშვიდობიანობის დაცვა; ინგლისის წინადადებას ელიან.

ლონდონი, *Times* და *Daily News* ოსმალოს ნოტას მთელი ევროპის შეურაცყოფად ჭსთვლიან.

სტამბოლი. პორტას ნოტაში, რომელიც ელჩებს გადაეცა ოსმალეთი პირდება მათ, რომ აღბანიელებს დაიყოლიებს დულჭინიოს დასათმობად, საბერძნეთის საქმეს ეს დღეში გადასწყვეტს და სომხეთისას კი ოთხს თვეში.

ბრაილა, 20 სექ. გერმანიის კორვეტი, იტალიის ორი ჯავშნიანი გემი და ერთი მზვერავი დღეს თეოდოში წავიდნენ.

სატუსაღოს ბიბლიოთეკა

ტფილისი, 25 ენკენისთვე.

დიდის სიამოვნებით ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს, რომ მ. ი. ლომაურისაგან დაწყებული საქმე—შესახებ თფ. მეტეხის საპყრობილეს ტუსაღებისათვის საკითხავ ბიბლიოთეკის გამართვისა—ამ ჟამად კეთილად დაგვირგვინდა.

თავიდამვე ამ საქმეს რამდენიმე დამაბრკოლებელი მიზეზები აღმოსჩენია; როგორც ყოველს კეთილს საქმეში, აქაც აღმოჩენილან ზოგიერთი ისეთი პირები, რომელნიც, კაცმა არ იცის—რა აზრითა და რა განზრახვით - ხელს უშლიდნენ ამ საქმეს. მაგრამ, ბოლოს, კეთილმა მაინც სძლია ბოროტი და ამ ჟამად, როგორც ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, ეს კეთილი საქმე შესრულებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან სასულიერო და სამოქალაქო მთავრობამაც თავის სრული თანხმობა და ნება-რთვა გამოაცხადეს მეტეხის ტუსაღებისათვის ბიბლიოთეკის გამართვისა.

თუ ჭეშმარიტია პსიოლოგთა და მეცნიერ-იურისტთა სწავლა, რომ ავაზაკი, ბრალდებული უფრო ზნეობით ავათყოფად, გონებით დახშულ ქმნილებათ უნდა ჩაითვალოსო და არა ბოროტ სულიერად, რომელსაც თითქო დაბადებითვე სწყურიან ყოველივე ბოროტება და ავი საქმე,—თუ ეს მართალია, ვამბობთ ზემოხსენებულისთანა ბიბლიოთეკის გამართვას ისეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ტუსაღისათვის, როგორც მაგალითად ავათმყოფებისათვის აფთიაქსა აქვს. როგორც ფიზიკურად, სხეულით ავათმყოფი თავის ავათმყოფობის განკურნებას აფთიაქის წამლებში ჰპოებს, ეგრეთვე ზნეობით, სულით ავათმყოფი ავაზაკი და ბრალდებული კარგს საკითხავს წიგნებში ჰპოებს თავის მრუდე ზნეობის განმაკურნებელს საშუალებას.

მეტსაც ვიტყვით: ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ერთი გონიერი, ტკბილი სიტყვა, ერთი ჭკვიანური წიგნის წაკითხვა ხშირად უფრო მომეტებულ სარგებლობას მოუტანს ტუსაღის ზნეობით მხარის გასწორებასა, ვინემ ერთი და ორი წლის სატუსაღოში დამწყვდევა...

მაგრამ მეორე გარემოებაა აქ კიდევ ყურადღებაში მისაღები: ხშირად, ძალიან ხშირად ბოროტებას სჩადის ისეთი კაცი, რომელიც არც ზნეობით არის გაფუჭებული და არც ხასიათით; სჩადის გაჭირვების გამო; ისეთს გარემოებებში ჩავარდნილა, ისეთი პირობები შემოხვეია გარს, რომ ლუკმა-პურის მოპოებაც გასჭირებია და გაჭირებულს გაჭირებიდამ გამოსვლა ცუდ-კაცობით, ბოროტებით მოუხერხებია.

აი ამ გვარ ხალხისათვის ბიბლიოთეკა, კეთილი სიტყვა, კეთილი მაგალითი და საკითხავი წიგნები მაგდენად სასარგებლო არ არის. ყველაზე უფრო საჭირო არის ამათთვის ხელოსნობის ცოდნა, ისეთი რამ საქმის, ხელობის შესწავლა, რომ სატუსაღოდამ გამოსვლის შემდეგ იმას პატიოსნად, უ-ბოროტ საქმოთ შეეძლოს ლუკმა პურის, ცხოვრებისათვის საზრდოს მოპოება.

ეს საგანი დიდი ხანია გაგებული აქვსთ განათლებული სახელმწიფოებში და იქ თითქმის ყოველ სატუსაღოსთან გამართულია სხვა-და-სხვა გვარი სახელოსნოები, რომელშიაც ტუსაღებს, წერა-კითხვასთან ერთად, ერთს ან რამდენსამე ხელოსნობას ასწავლიან.

ამისთანა სატუსაღო სატუსაღოთაც არ ჩაითვლება, რადგან აქ დასჯას კი არ სცდილობენ ტუსაღისას, მხეცივით კი არ ეპყრობიან იმას, არამედ ასწავლიან, წრთვნიან, შემდეგ პატიოსან ცხოვრების ღონის-ძიებას აძლევენ, კარგ-კაცობისათვის ამზადებენ.

საუბედურო‌ოთ, ჩვენს ახლანდელ საპყრობილეებში სრულებით ასე არ მიდის საქმე: ხშირად გვინახავს და გაგვიგონია, რომ რომელიმე პატიოსანი და მშრომელი კაცი დაუჭერიათ და ამას რომ ჩვენებურ სატუსაღოში ერთი-ორი წელიწადი გაუტარებია, იქიდამ მართალა ნამდვილი ბოროტი კაცი და ავაზაკი გამოსულა; ზნეობით გასწორების, ჭკუის, სწავლის მაგიერ ზნეობითადაც და ხასითიდანაც გარყვნილან, გაფუჭებულა.

ამიტომ ყოველი კაცი, რომელიც კი საზოგადოების კეთილ-დღეობისა, მშვიდობიან ცხოვრების და წარმატებისათვის ჰფიქრობს, მოუთმენელად უნდა მოელოდეს იმ დროს, როდესაც რამდენსამე ათასს ტუსაღს, რომელნიც მუდამ წელიწადს ატარებენ თავიანთ ცხოვრებას ჩვენებურ სატუსაღოში, მიეცემათ ის საშვალება და ის ღონის-ძიება, რომ სატუსაღოებიდამ გამოსვლის შემდეგ პატიოსნად, თავის შრომითა და ცოდნით იცხოვრონ; როდესაც სატუსაღოებიდამ უფრო ხასიათ-გაფუჭებულები და გარყვნილები კი არ გამოვლენ არამედ რომლისამე ხელოსნობისა და წერა-კითხვის მცოდნენი, შრომისა და რიგიან ცხოვრებას შეჩვეულნი.

აი ამისთანა სატუსაღოები მოუტანენ საზოგადოებას ნამდვილს სარგებლობას; ამათგან უნდა მოველოდეთ გზაზე დაყენებას, და არა იმ სატუსაღოებიდგან, რომელნიც ახლა არიან ჩვენში უფრო ავაზაკების გასამრავლებელად და ტუსაღების უფრო გასამხეცებელად...

ახალი ამბები

მომავალს 1881 წელში, შემოდგომისათვის თფილისში უნდა მოხდეს ყრილობა მეხუთის არხეოლოგიურის კრებისა.

მოსამზადებლად ამ კრებისათვის თფილისში დადგენილი არხეოლოგიური კომიტეტი შემდგარია რამდენთამე პირთაგან, რომელთაც იკისრეს შესწავლა და წაკითხვა იმ კრებაში თავიანთ ნაშრომისა სხვა და სხვა არხეოლოგიურ საგნებზედ.

ხსენებული კომიტეტის თავს-მჯდომარედ არის აღმორჩეული ალექსანდრე ბესარიონის-ძე ქამაროვი, რომელსაც განზრახვა აქვს გამოსცეს მომავალ კრებისათვის აღწერა ქართული ძველი ფულების, რომელნიც ჯერ არსად ყოფილან აღწერილნი და გამოცხადებულნი.

ამ აღწერის გამოსაცემად ბატ. ქამაროვს საკმაო ბევრი ძველი ფულები აქვს მოგროვებული, მაგრამ უეჭველია, ქართლ-კახეთში, იმერეთ-ზურია-სამეგრელოში და აბხაზეთში კიდევ უფრო მეტი ძველი ფულები მოიპოვებიან სხვა და სხვა პირთა-შორის, რომელთა უმორჩილესის თხოვნით მიმართავს ბატ. ქამაროვი აღმოუჩინონ მას შემწეობა ქართულის ძველი დროების შესწავლაში და ათხოვონ წარსულის საუკუნოების ქართული ძველი ფულები, რომელნიც აღნიშნულის აღწერის შემდეგ ისევ პატრონებს დაუბრუნდებათ დიდის მადლობითა.

უკეთუ რომელნიმე ძველი ფულის პატრონები ინებებენ შემოწირვას ქავკასიის არხეოლოგიურ მუზეუმის სასარგებლოდ მათ მიერ გამოგზავნილის ფულებისას, ისინი, რასაკვირველია, გამოაცხადებენ ამას თავიანთ გამოგზავნის ქაღალდებში, რომელნიც უნდა იყენენ წარწერილნი ასე:

Предсѣдателю подготовительнаго Комитета для Пятаго Археологическаго Съѣзда въ Тифлисѣ Александру Виссаріоновичу Комарову Начальникъ Горнаго Управленія) въ Тифлисъ.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, სატუსაღო ბიბლიოთეკის დაარსების საქმეში დიდი თანაგრძნობა აღმოუჩენია სატუსაღო ქომიტეტს; თფილისის გუბერნიის ბამგეობას შეუწირავს ამავე ბიბლიოთეკისათვის ერთი დიდი შკაფი, 50 მანეთად ღირებული. ამგვარსავე თანაგრძნობასა და დახმარებას დაჰპირებია სატუსაღო ბიბლიოთეკას აგრეთვე სომხის არხიეპისკოპოსიც.

ამ უკანასკნელ დროს კიდევ შემდეგ პირებმა შესწირეს წიგნები ხსენებულ ბიბლიოთეკას: სოფ. მეტეხის ზედ-მიწერილ ეკკლესიის მღვდელმა ილარიონ ქასრაძემ შესწირა 20 წიგნი ქართული და რუსული; სოფ.

არბის მღ. ბარსეევან ლომინაძემ—10 ქართული წიგნი, ჩინოვნიკის ლონგინოზ ბორისოვის ქვრივმა სოფიომ—7 წიგნი.

* * *

ამ კვირა დილას იქნება მოლებნა ქალაქის ხარჯით გამართულს სახელოსნო სასწავლებელში და პირველდაწყებით სკოლაში.

სწავლა კი, როგორც შევიტყეთ, მომავალ კვირის ხუთშაბათიდამ დაიწყება.

მსურველების რიცხვი ამ ორივე სასწავლებლებში შესვლისა, როგორც გვითხრეს, სამასზე მეტი აღმოჩენილა, მიღებით ორასამდინ მიუღიათ, სახელოსნო სასწავლებელში ეგზამენიით და პირველ დაწყებით სკოლაში კი უეგზამენიოთ.

* * *

ძუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ მოკლე ხანში იქ იხსნება პირველი გამსეხებელი კასსა, ისეთივე, როგორიც აქ თფილისში, ბატ. ბარუჩოვს, აქიმოვს, მაბიკონოვს და სხვებს აქვსთ გახსნილიო. ამ კასსის გამხსნელებს ფული საკმაოდ აქვთო და მოთავენი ისეთი პირები არიანო, რომ ბარუჩოვისა და იმის მსგავსების საქმეს, იმედია, კარგათ შეასრულებენო...

წარმოუდგენელი ფულის სიძვირე იმერეთში, სადაც მანეთში ხშირად აბაზს, ექვს შაურსაც აძლევენ, უეჭველია, ხელს მოუწყობს ამ ხალხს თავის დაწყებულ საქმეშიო...

ქუთ. გუბ. მასწავლებელთა კრება

22 ესკუსისთვეს.

ბევრი შესანიშნავი და დიდი ყურადღების რამ არა მომხდარა-რა ამ მასწავლებელთ შეკრებილებაზე დღემდისინ. აძლევდნენ სამაგალითო გაკვეთილებს აღრჩეული პირები და ამ მიცემული სამაგალითო გაკვეთილების შემდეგ აძლევდნენ გამოსაცდელ გაკვეთილებს სოფლის სკოლის მასწავლებელნი. საღამოობით იყო ბაასი ამ გამოსაცდელ გაკვეთილებზე, მათ ღირსებაზე, და ნაკლულევანებაზე.

ძაგრამ დღეის საღამოს ბაასი ბევრით განირჩეოდა სხვა დროია ბაასობისაგან. საღამოობით ბაასი იყო ერთი კვირა საქალებო უფასო სკოლაში. ზალა იყო ერთობ პატარა; ყველას სული გვეხუთებოდა და გარეშე პირს ადგილი არ ჰქონდა დასატევი. ახლა ქალაქის გამგეობამ თავის ზალა დაუთმო კრებას და აქ ხალვათობაც იყო და ყოველიფრის ვაგონებაც შეიძლებოდა. მაგრამ, ბატონმა დირექტორმა, არ ვიცით—რატომ, საჭიროთ დაინახა, რომ ამ ორშაბათიდამ ისევ საქალებო სკოლის ზალაში მომხდარიყო შეკრებილება.

ამ საღამოს ჩვენ შეკრებილებაში მობძანდა ბატ. სიმონოვი დირეკტორი ბორის სამასწავლებლო სემინარიისა. ბაასი მან გააცოცხლა თავისი სიტყვებით.

მომყავს აქ დაახლოებით ეს საყურადღებო ბაასი:

სიმონოვი. როდესაც კაცი კრიტიკულათ გაარჩევს გამოსაცდელი გაკვეთილს, უნდა მიაქციოს ყურადღება--თუ როგორი საგანი აურჩევია მასწავლებელს გადასაცემათ შაგირდებისათვის? შეუძლიათ თუ არა შაგირდებს შეითვისონ ის, რასაც ასწავლის მათ მასწავლებელი? რა მიხვრა-მოხვრას ხმაროობს მასწავლებელი სწავლის გადაცემის დროს? არის თუ არა წესიერება დაცული სწავლების დროს კლასში?—აი, ბატონებო, ამ საგნებს უნდა მიაქციოთ ყურადღება, როდესაც გინდათ რამე სთქვათ თქვენი მოძმესაგან მიცემულ გაკვეთილზე.

ბატ. მარსოვი. ეგ კითხვები თავიდამვე აქვსთ გამოცხადებული ყველას, ყველამ იცის და აქცევენ ყურადღებას.

კირილე ლორთქიფანიძე. თუ როგორ მისცა გამოსაცდელი გაკვეთილები მასწავლებელმა, მაშინ შეიძლება დააფასოს კაცმა, როდესაც მასწავლებელს აქვს საქმე იმისთანა შაგირდებთან, რომელთაც არ იციან წინათვე ის საგანი, რომელიც მასწავლებელმა უნდა გადასცეს. და ეხლა ამის შეტყობა ძნელია და ამისათვის ამ გამოსაცდელი გაკვეთილების დაფასება არ შეუძლია კაცს.

სიმონოვი. სრულებით მართალი სთქვა, ეს ვინც ბრძანდება. შაგირდს სრულებით აფუჭებს, როდესაც მას ეუბნებიან იმისთანა საგანზე, რომელიც მან დიდი ხანია იცის... ვისი ბრალია, თუ შაგირდი არ სწავლობს, ბატონებო? მასწავლებლის. ვისი ბრალია, თუ შაგირდი სწავლის დროს მასწავლებელს ყურს არ უგდებს და ეშმაკობს, ანუ სხვას რაშეს ჩადის. მასწავლებლის. ვისი ბრალია, თუ შაგირდს სკოლაში ეძინება და ამთქნარებს? მასწავლებლის. ერთის სიტყვით, ყველაფერი მასწავლებლის ბრალია. ამაში თავს ვერავინ ვერ გაიმართლებს. მასწავლებელი წინა საღამოითვე უნდა მოემზადოს მეორე დღის გაკვეთილებისათვის. ქოველი სიტყვა ქართულათ და რუსულათ დაწყობილი უნდა ჰქონდეს. რომელი იქმნება პირველი სიტყვა და რომელი უკანასკნელი ეს წინათვე უნდა იცოდეს. იქას უნდა ჰქონდეს მიქცეული ყურადღება ოთახის სიფართოეზედაც; უნდა იცოდეს თუ როგორი ხმით უნდა დაიწყოს ლაპარაკი, რომ ყველამ გაიგონოს, მისი ლაპარაკი ისეთი უნდა იყოს, რომ ყველა შაგირდის ყურადღება უნდა მიიქციოს. ქველა იმისი სიტყვა ისარივით უნდა ეცემოდეს ბავშის გულს და ტვინს და ძთაბეჭდილებას სტოვებდეს. თუ მასწავლებელი ასე იქცევა, მაშინ შაგირდს არ დაეძინება სკოლაში და არც ცელქობას დაიწყებს. მაგრამ, თუ მასწავლებელი თავის გაკვეთილზე კლასში შესვლამდის სრულებით არ ფიქრობს; თუ, როდესაც ასწავლის რაღაცას ბლუჟუნობს და თვითონაც არ იცის—რას და შაგირდებსაც არ ეყურება მისი ლაპარაკი, თვითონ ცოცხლათ არ არის და კიდეც ეძინება, მაშინ ის ვერაფერს ვერ ასწავლის.

ბევრი ამისთანა მშვენიერი სიტყვები წარმოსთქვა ბ. სიმონოვმა, და ძლიერ სასიამოვნო იყო, რომ ეს სიტყვები მოესმინა ზოგიერთ ჩვენი გიმნაზიის მასწავლებელთ, რომელნიც ისე შედიან კლასში, რომ არ იციან-რა გაკვეთილები აქვსთ შაგირდებს, სანამ ისინი არ ეტყვიან. ამ მასწავლებლებში ოთხს ვერ ნახავ ისეთს, რომ ყურები ბამბით არ ჰქონდესთ გამოტენილი. მათი ნალაპარაკევი ესმისთ თუ არა შაგირდებს—არც ის იციან და არც მათი მიგება ესმისთ.

ამ საღამოს გათავდა ბაასი გამოსაცდელ გაკვეთილებზე და მიდგა საქმე პროგრამმის შედგენაზე.

ბ. მარსოვი. ბატონებო, ჩვენ მხოლოდ დროებით უნდა მივიღოთ პროგრამმა თფილისის გუბერნიის სახალხო სკოლებისა. ჩვენ შევადგენთ კომმისიას, რომელმანც უნდა შეადგინოს პროგრამმა და როდესაც დამტკიცდება ეს პროგრამმა, მაშინ იმ პროგრამმით უნდა წავიდეს სწავლა.

ბ. ივ. ფსაკამე. მე ვგონებ ამ მასწავლებელთა კრების პირველი მიზანი მდგომრეობს მასში, რომ მათ ერთად შეიმუშავონ და შეადგინონ პროგრამმა. თუ პროგრამმა კამიტეტის ორი-სამი პირისაგან იქნება შედგენილი, ის არაფერს არ ემგვანება.

ბ. მარსოვი. ამაზედ ხვალ ვილაპარაკებთ.

ბ. სიმონოვი. ბატონებო. მინდა გკითხოთ ერთი რომ: რომელ ენაზე სჯობია სწავლის დაწყება?

ერთი მასწავლებელთაგანი. რასაკვირელია, დედა-ენაზე.

ბ. სიმ. მართალს ამბობთ. ქართველს ქართულ ენაზე უნდა ასწავლო უთუოდ. მაგრამ მითხარით რა სარგებლობა გამოდის აქედამ.

მასწავლებელი. ბავშს იმ ენაზე უნდა ელაპარაკო, რომელიც მას ესმის.

ბ. სიმ. მართალია ამას ითხოვს პედაგოგიკის კანონი და საღი გონებაც. მაგრამ კიდევ რატომ არის კარგი დედა-ენაზედ სწავლება?

ერთი მასწავლებელი. როდესაც კაცი უხსნის თავის დედა ენაზე საგანს, ის მაშინ იმ საგანს აქცევს ყურადღებას...

მ. სიმ. მართალია, პსიხოლოგიური კანონითაც სჩანს, რომ სწავლება ბავშვისა მისს დედის ენაზე უნდა იყოს. მაგრამ რუსული ენა არ უნდა ვისწავლოთ?

ქველა გაჩუმდა. აღარავინ არაფერი არა სთქვა. ბოლოს ისევ დაიწყო ბ. სიმონოვმა.

ბ. სიმ. რუსული ენა უნდა ვისწავლოთ მისთვის, რო- ჩვენი სახელმწიფოს თავი ენაა. ამას გარდა კიდევ რათ უნდა ვისწავლოთ რუსული ენა? იმისთვის, რომ კაცი სხვა-და-სხვა ენების სწავლებით გონებით იხსნება. რამდენი მეტი ენა იცის კაცმა, იმდენათ ის უფრო გონება-გახნილია. ამისათვის საჭიროა რუსული ენაც ისწავლონ სოფლის მკლებში.

ერთი მასწავლებელი. აქ საქართველოში თუ გონების გახსნისათვის უნდა მიუცილებლად ისწავლონ რუსული ენა, რატომ რუსეთშიც არ ასწავლიან გონების გასახსნელად რომელიმე სხვა ენას სახალხო სკოლაში?

ქველა მასწავლებლებზე და გარეშე პირებზე გასაოცარი შთაბეჭდილება დასტოვა ბ. სიმონოვის უკანასკნელმა სიტყვებმა.

„დროების“ კორესპონდენცია

ალავერდი, 16 ესკუსისთვეს. გწყალობდეს, მკითხველო, ალავერდი! ამ თვის 14-ში იყო იმისი დღესასწაული. შესანიშნავია ეს დღეობა საქართველოში. იქ იპოება ყველა ჯურა და ყველა ნაირი ხალხი: ქართველი, სომეხი, რუსი, თუში, ქისტი ჩერქეზი, ფშაველი, ხევსური. ინგილოელი, ლეკი, თათარი და სხვ. ერთის სიტყვით, ამ დღეობაში ძრიელ ჭრელი და ფერადი ხალხი ირევა.

ზოგიერთი მთის შვილები რომ ნახო იტყვი თუ ამათ ჯერ ქვეყნიერობისა არა იციან რაო. იმათ მშვენიერ ქალებს რომ მიუახლოვდე დასალაპარაკებლად, როგორც ირემი და მშველი, ისრე დაფრთხებიან; მაგრამ ზოგნი კი სრულიად არ მოგერიდებიან. რაც ვინდა იმათთან საქმე არა გქონდეს, არ შეიძლება, რომ არ მიუახლოვდე. იმათი წვრილი ტანი და სიმშვენიერე, როგორც მავნიტი ისე მიგიზიდავს.

ქველა ვვარ შექცევას ნახავ აქ: ჭიდილი, კრივი, ჯირითი, ჩხუბი, შაირი, ლაზანიობა, სიმღერა, დაჭრა, თოფის სროლა, შუშხუნები, ულეველია. წელს რამდენიმე საგანი აკლდა, მაგალითად: დაჭრა და ჯამბაზი; კაცისკვლა და დაჭრა რომ არ მოხდა, იმას უნდა მივაწეროთ, რომ შაბათ ღამ ალავერდს შამორტყმული ჰყავდა 200 ყარაული. ქვირა დღეს ერთმა ვარდისუბნელმა, რომელსაც მეტ სახელს ბუმბულას უწოდებენ, ერთი ისეთი ვაჟი-კაცი გალახა, რომ გასაკვირველი იყო. დაძგერება და იმ ფალავნის დაცემა ერთი იყო. მაგ. ბუმბულას ერთი საათი თავადიშვილები, როგორც ბუმბულს, ისე ისროდნენ მაღლა...

ალავერდის დღესასწაული შესანიშნავია იარმუკითაც. ქველანაირი ბაზარი, საქონელი და მოვაჭრე მანდ იპოება. წელს უმეტესად მშვენიერად იყო მოწყობილი ბაზარი: ქუჩა-ქუჩა გაყოფილი და ყველა ქუჩაზედ სხვა-და-სხვა მოვაჭრე, ბაზარი ცალკე, მიკიტანი ცალკე და სხვანი. სამ ადგილას იყო ბაირაღები: წითელი, თეთრი და ბწვანე, რომლებზედაც ღამე ეკიდა ფანრები. უმადლესის მთავრობის ნებით, ღღეის შემდეგ 12 დღე ალავერდში იარმუკობა უნდა იყოს: მაგრამ წელს ხალხიც და მოვაჭრებიც მეორე დღესვე დაიმალნენ, რადგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგ განკარგულება მარტო კახელებმა იცოდნენ. მე ვგონებ მთავრობას წინათვე გაზეთებში უნდა გამოეცხადებინა მაგ განკარგულებაზედ, რომ ქვეყანას გაეგო.

არც იაფობა იყო: ყველი, მაგალითად, ადგილობრივ ჯდებოდა 30 კაპ., როდესაც შიგ თელავში შეგიძლიან 25 კაპ. იყიდო. შემდეგისათვის იმედია, ყველას ეცოდინება და ვაჭრობაც კარგი იქნება.

შაბათს საღამოს 13-ს, ჩვეულებისამებრ, დაიწყო ხალხმა თოფის სროლა და შუშხუნები. შუშხუნების აშვებაზედ მთელი მთის ცხენები დაფრთხენ და ისეთი სიცილი და კიჟინა იყო, რომ ვერ შემიძლიან ავწერო. დაგლიჯეს ცხენებმა თოკები, ოთხსავ კუთხივ გარბოდნენ და პატრონები მისდევდნენ.

კვირას წირვის შემდეგ ეგზარხოსი, თავისი კრებით, შემოსილი გამობრძანდა და აკურთხა იარმუკა. მთელი ალავერდის ძლოკავი ამას დაედევნა. ველა მხარეს ისმოდა კიჟინა, სიმღერა, ზურნა, საზანდარი, ბლიაძე და სხვ. ალავერდში, სხვათა შორის, იყო თბილისიდგან ერთი ყმაწვილი კაცი—ნ. ს—ნოვი, რომელიც მშვენიერათა მღეროდა ქართულ ლექსებს და სიმღერებს; იმან მთელი აქ მოკრებილ ხალხის ყურადღება თავისკენ მიიქცია: შაბათ-ღამ მთელმა ხალხმა თავიანთ კანპანიებს თავი დაანებეს და მაგას შამოერტყა, რომ ყური დაუგდოს. ქალები ხომ აღტაცებული იყვნენ იმის ტკბილ ხმაზედ და თავიანთ თანაგრძნობას აცხადებდნენ იმით, რომ შორიდგან ჩუმათ ვაშლებს და ატმებს ესროდნენ. სწორე მოგახსენოთ, მაგ ყმაწვილკაცს ჰქონდა ძრიელ ტკბილი, მაღალი ხმა და ნამდვილი ქართული კილო. მსწუხვარ, თუ თბილისელებს ჯერ მაგისი ქართული სიმღერა არ გაუგონიათ... რომელი თათრული სიმღერა მოვა მაგის ნათქვამ ქართულ სიმღერასთან.

მაზრის უფროსს ცალკე კარავში ჰქონდა გამართული თავისი კანცელარია. ბევრი ქალაქელი ჯიბგირი დაიჭეჭა აქ; ბევრმაც კი ჩაასვენა გაურჯელათ საწყალი კაცის ოფლით მოგებული ფულები. ბევრიც გაიბაწრა.

ერთი მეოცვთაგანი.

შენიშვნა მოსავალ ქართულ გიმნაზიაზედ

ბორის, თელავის და სიღნაღის თავად-აზნაურობამ უკვე გადასწყვიტა როგორც მოეხსენება „დროების“ მკითხველებს, გახსნან ისეთი საშუალი სასწავლებელი სადაც შეეძლოს ჩვენ მოზარდ თავად-აზნაურობის შვილებს ქართულს ენაზედ სწავლის მიღება. დუშეთის უეზდის თავადაზნაურობას ჰქონდა ამ საგანზე სხლომა, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, საქმე ვერ დაბოლავა და გადასდვა ამ სექტემბრის-თვის, როდესაც, სრული იმედია; ისე გაათავებ საქმეს, როგორათაც გაათავეს მათმა მოძმეებმა.

ახლა რიგი ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობაზე არის, რომელსაც პატივცემულმა „დროების რედაქციამ მე-192 ნომერში უძღვნა მოწინავე სტატია, სადაც შშვენიერათ არის გამოთქმული, თუ რამ აიძულა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა, ამ გვარ სასწავლებლის გახსნისათვის ეფიქრნა. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობასაც იგივე სენი სჭირს, რომელიც სჭირს ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას, მაშასადამე კარგათ უნდა იცოდეს—რა მიზნით იხსნება ეს სასწავლებელი.

თუ ეს ასეა, მაშ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა ეხლავე უნდა შეუდგეს ამ სასარგებლო საქმის სისრულეში მოყვანას. ნათქვამია: „კურდღელმა რაც იყოყნა, ის იხტუნაო!“ დიდ ხანს ვიყოყნეთ, მაშ ეხლა ვიხტუნოთ! ეხლაც რომ ვიყოყნოთ, შემდეგში უფრო ბევრი ხტუნვა დაგვჭირდება...

პატივცემული „დროება“, სხვათა შორის ამბობს: „უეზდისმარშლებს, უეზდის უფროსებს და სხვათა მოთავე პირთა ვალია ეს აზრი უქადაგონ თავად-აზნაურთაო;“ მართალი, მაგრამ, ჩვენ-და-საუბედუროდ, ვის ესმის ეს სიტყვები!? სად გვყავს ჩვენ, წყალ-წაღებულებს, ისეთი უეზდის უფროსები და მარშლები, რომელნიც თქვენ გყავთ სახეში!? რომლებსაც ეცოდებოდეს ის ხალხი, რომლის შრომით ისინი განცხრომაში არიან!? რომლებსაც ესმოდეს ის ჭეშმარიტება, რომელსაც ქადაგობთ? არა, არ გვყაყვს და თუ გინდათ დაგიმტკიცოთ, აი მაგალითი: ისეთ „დროების“ ნომერს ვერ აიღებთ ხელში სადაც არ ეწეროს ოზურგეთის უეზდიდგან შენიშვნა: დღეს ეს და ეს კაცი მოკლესო, დასწვეს, დასჭრეს, გაჰქურდეს, ბოგირები და გზები აღარ გვაქვს, ხალხი გაჭირებაში არის, ქალაქი გადაიწვა, სწავლა-განათლება უეზდში ცუდათ მიდის; კაცი, მითავე კაცი, გამომსარჩლებელი, დამცველი ჩვენი ცხოვრების და ქონებისა გვეჭვირება, გვიშველეთ რამე!..

რას შვრება ოზურგეთის უეზდის უფროსი იმ დროს, როცა მისი უეზდის ხალხი ამ ნაირ შემაძრწუნებელად სჩივის? უეზდის უფროსათ უნდა იყოს კაცი, ნასწავლი, პატიოსანი, შრომის მოყვარე, სწავლის და განათლების ძოყვარე. ის უნდა უდგეს ხალხს, ასწავლიდეს კარგს, აცილებდეს ცუდს და სხვ. „ვინ ერეკლე და ვინ თეკლეო?“

ნათქვამია: „თვით არ იყო ძმარიო, შიგ ჩაასხეს წყალიო!“ სწორეთ ეგრე მოზდის ოზურგეთის უეზდს; არა აქვს ბედი უეზდის უფროსებში. ბ. ვახრამოვი იყო ოზურგეთის უეზდის უფროსათ იმ დროს (1876 და 1877 წ.), როცა რუსეთი ომიანობას ემზადებოდა; ვახრამოვმა იმის ნაცვლად, რომ გზები გააკეთოს, ხალხის მდგომარეობას ყური ადევნოს და სხვა... სიმინდის და ჩალის ყიდვა-გაყიდვა დაიწყო! მამასახლისები პრიკასჩიკების თანამდებობას უსრულებდენ!!! ამის შემდეგ ბ. რიხტერი იყო; ჩალვადრობა დაიწყო და, როგორც ამბობდნენ და სწერდნენ, დიდი ფულიც შეაგროვა! ახლა ადიანი დანიშნეს . . . . . ნუ თუ ამისთანა უეზდის უფროსებმა უნდა ჩააგონოს თავად-აზნაურობას, რომ სკოლების გახსნა საჭიროაო?

ისევ ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ის ჩვენი მოწინავე კაცები, რომელნიც დიდის ჯაფით და დავი-დარაბით მიგვათრევენ წინ განათლებისკენ და ის ქართველი თავად-აზნაურობა (ამათ რიცხვში ქუთაისის გუბერნიაც არის), რომელსაც კარგათ ესმის, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან სწავლა-განათლებას და რომელიც არაფერ საქმეში არც ჩამომდგარა და არც ჩამოდგება უკან, როცა საჭიროება მოითხოვს, თორემ იმისთანა უეზდეპის უფროსებზე, როგორიც ადიანი და სხვებია, რომ ყოფილიყო ჩვენი საქმე დამოკიდებული, შენი მტერია, დღემდის ჩვენ გამქრალი ვიქნებოდით!

ველა ქართველი, ქართველი, რომელსაც პატიოსანი ქართული სისხლი უდუღს სხეულში, მოუთმენელად უნდა მოელოდეს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან, რომ ის დროზე შეუდგება სათავად-აზნაურო გიმნაზიის გახსნას! იმედია, ეს თავად-აზნაურობა, განთქმული სწავლა-განათლების სურვილით და სხვა კარგი თვისებაებით, არ ჩამორჩება ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას.

გურული.

უცხოეთი

წვრილი ამბები. **კენიგსბერგის გარტუნგის გაზეთს** „რეიტერის საგენტო“ ლონდონიდამ ტელეგრამმით აცნობებს, პეტერბურღის და ქენევის პოლიციამ აცნობაო აქაურ პოლიციის გამგეობას, რომ ბლასოვოში წავიდნენ სამი რუსის ნიგილისტები, რომელთაც თან მიაქვთ ესრედ-წოდებული „ჯოჯოხეთის მაშინა“ საათის შეხანიზმოთი. ბაერცელებულია ხმა, ვითომც ამ ნიგილისტებს ზემოხსენებული „ჯოჯოხეთის მაშინა“ რუსეთის იმპერატორის იახტაზე „ლივადიაზე“ უნდათ დამალონო. ეს იახტა ახლად შენდება ბლაზგოვის ნავთ-სამენში. პოლიციას დაუთვალიერებია ამ იახტის ყველა კუნჭულები, მაგრამ ჯერ ვერა უნახავთ-რა.

—

სტამბოლიდამ ინგლისურს გაზეთს *Standard*-ს სწერენ, ჩერნოგორიის საქმეზე მოლაპარაკებას ეხლა თვითონ ხონთქარი ჰმართავს თავის ადიუტანტის საშუალებითო. ამ თვის ოც-და-ხუთს აბდულ-ჰამიდს უცნობინებია სახელმწიფოთა ელჩებისათვის, რომ დულცინიოს დათმობა მხოლოდ ამ პირობით შეგვიძლიაო: 1) არავითარი ზღვის დემონსტრაციი არ მოახდინონ დულცინიოს წინააღმდეგ და არც ეხლა და არც მომავალში, საზოგადოთ, არავითარი ზღვის დემონსტრაცია არ მოახდინონ ოსმალეთის იმპერიის რომელიმე ნაწილთან; 2) ჩერნოგორიის ეხლანდელი საზღვარი არ მოიშალოს და 3) სახელმწიფოებმა იკისრონ დასათმობთ ოლქების მაჰმადიანთა სიცოცხლის, თავისუფლების, ქონების და რჯულის შეუხებლათ დაცვა. ველა ელჩებს თურმე ერთხმად უპასუხნიათ, რომ პირველი ორი წინადადების მიღება ყოვლად-შეუძლებელიაო.

ქორრესპონდენტის სიტყვით ხონთქარი დარწმუნებულია, რომ, თუ სახელმწიფოებმა დულცინიოსთან დემონსტრაცია მოახდინეს, შემდეგ საბერძნეთის საქმის გამოც განიმეორებენო მას, და ამიტომაც სჯობია, რა ფასათაც უნდა დამიჯდეს, ხელი შევუშალო დულცინიოსთან დემონსტრაციასო.

—

ნემენცური გაზეთი *National Zeitung*-ი გვაცნობებს, რომ დემონსტრაციის თავიდამ აცილების მსურველს ხონთქარს კერძო წერილი მიუწერია ბერმანიის იმპერატორთან და უთხოვნია ჩერნოგორიის საქმეში მიშუამდგომლეო. იმპერატორს ვილჰელმს ამაზე უარი უთქვამს და, ამასთანავე, ბერლინის ტრაქტატის ყველა განაჩენების შესრულება ურჩევია.

—

ლონდონიდამ *Neue Freie Presse*-ს სწერენ: აქაურს ოფიციალურს წრეებში დაბეჯითებით ამბობენ, რომ ყოველ ნაირი მოლაპარაკება ეხლა შეწყვეტილია ოსმალეთთან, და საქმე ზარბაზნებმა უნდა გადასწყვიტონო. მაგრამ საქმე მაინც სხვა ნაირად მოეწყო და დეპონსტრაცია ხელ-ახლავ გადადვეს.

ინგლისის ელჩმა ხონთქარის კარის წინაშე თავის ბმართებლობას აცნობა, რომ ყოველ ნაირი მოლაპარაკება ამაოა ოსმალეთთანაო.

—

ვეტინიედამ *Presse* ატყობინებენ, რომ რიზა-ფაშამ აცნობა ჩერნოგორიელებს თუ ვინიცობაა წინ კიდევ გამოიწვეთო, ამას ომის მიზეზად ჩავთვლი და ომს გამოგიცხადებთო.

—

ინგლისური გაზეთი *Morning Post* არკვევს დულცინიოს გადაცემის დახლართულს საქმეს და სახელმწიფოთა ყოყმანობის და პორტის ხრიკების გამო ამბობს, სახელმწიფოებზე ჩერნოგორიელებს ეხლა საფუძვლიანად შეუძლიათ თქვანო: „ღმერთო გადაგვარჩინე ამ რიგ მეგობრებისაგან;

ისინი რომ არ ყოფილიყვნენ ამდენ ხანს ჩვენ თეითონ ვძლევდით მტრებსო.“

თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დიღის ცხრ საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და ყმაწვილების ავათმ., ქიუსარიანცი—სირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

სამშაბათს: ექ. მინკევიჩი — სირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეისი—თვალისა, ბაბოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბასუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., ვერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

ოთხშაბათს: გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, ბომერანცოვი—გულის.

ხუთშაბათს: ჟურავლევი—ყელისა და გულას ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., ქიუსარიანცი — ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: გავრონსკი — ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი — სირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ბასუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების, ბაბოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

შაბათს: ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეისი—თვალის ბაბოევი—გულისა და შიგნეულების და ვერმიშევი – შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბაბაევი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი)

დოქტორი ჟურავლევი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშიგე.

კბილის ექიმი ობრესტი ავათმყოფებს, კისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპექ., ზარათოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დიღის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოშიარის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.

განცხადებანი

ამ ენკენისთვის 27-იდამ, დილის 10-თი საათიდამ მუდამ დღე, უქმეების გარდა, იქნება **გასყიდვა** ჯონიალინის და **გასტრონომიურის** საკონლის მაღაზიიდამ, რომელიც გაკოტრებულ ვაჭრებს **ი. და ე ჯაჯულაზოვებს ეკუთნოდათ.** საქონელი გაისყიდება ცალ-ცალკე და თავისუფალის ფასით და დაფასებაზე უფრო იაფ ფასად. მაღაზია იმყოფება ბოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში.

ნაფიცი ვექსილები ა. სტეფანოვი.
ბ. იაკულოვი.

(4—1)

ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის სახელოსნო სასწავლებლისა და პირველ-დაწყებით სასწავლებლის გასსნა დანიშნულია კვირას, 28 სექტემბერს, დილის 11 საათზე. სახელოსნო სასწავლებლის შენობაში, ეგზარხოსის მეიდანზე.

(3—1)

ქუთაისის გიმნაზიის პედაგოგიური რჩევა ამით აუწყებს, რომ 28 აგვისტოს და 4 სექტემბრიდგან ამ 1880 წლის ჟურნალის დადგინებით მოიწოდებიან გიმნაზიის პანსიონში დაცლილს ადგილებზე შემდგომნი კანდიდატები:

1) **გრიგოლ ნიჯარაძე**, თ. იოსებ ნიჯარაძის-ძე, ქუთაისის უეზდის სოფლის მაღლაკისა, რომელიც მიიღება მოსამზადებელ კლასში.

2) **ბაგრატ ქუთათელაძე**, აზნაურის ივანე ქუთათელაძის-ძე, ქუთაისის უეზდის, დაბა-ხონისა, მიიღება მოსამზადებელ კლასში.

3) **ირაკლი ჩინჩალაძე**, აზნაურის სპირიდონ ჩინჩალაძის-ძე, შორაპნის უეზდის, სოფლის ძინოტისა, მიიღება მესამე კლასში.

4) **ასლან ყდენტი**, აზნაურის ანტ. ყდენტის-ძე, შორაპნის უეზდის, სოფ. ქვა-ციხისა, მიიღება მესამე კლასში.

5) **ისაკ კალანდარიშვილი**, აზნაურის ხოსია კალანდარიშვილის-ძე, ოზურგეთის უეზდის, სოფლის ქვირიკისა, მიიღება მეოთხე კლასში.

6) **კონსტანტინე წერეთელი**, აზნაურის დიმიტრი წერეთლის-ძე, რაჭის უეზდის სოფლის ჯვარისისა, მიიღება მეოთხე კლასში.

7) **ნოე გეგეჭკორი**, ქვრივი, მატრონა გეგელაშვილის-ძე, ქუთაისის უეზდის, სოფლის მესხეთისა, მიიღება მეორე კლასში.

გარდა ამისა რჩევა საჭიროდ სთვლის წინათვე გამოაცხადოს, რომ მალე მოიწოდებიან იმათთანვე სიაში დაახლოებულნი, აღნიშნულნი კანდიდატები, რომელთაც წლოვანებით ნება აქვსთ პანსიონში შემოსვლისა. იგინი არიან შემდგომნი:

1) **ლონგინოზ ჩიკვაიძე**, აზნაურის თომა ჩიკვაისის-ძე, რაჭის უეზდის, სოფლ. სხვავისა.

2) **გიორგი ჩხეიძე**, აზნაურის ბახვა ჩხეიძის-ძე, ქუთაისის უეზდის, სოფლის ოფჩისა.

3) **ისიდორე გიორგობიანი**, სპირიდონ ზიორგობიანის-ძე, რაჭის უეზდის, სოფელ. ზორის-უბნისა.

4) **მიხაილ დევდარიანი**, აზნაურის სპირიდონ დევდარიანის-ძე, შორაპნის უეზდის, სოფელ. ხარაგოულისა.

(3—2)

რესტორანს
შვეიცარიაში
თ. მუხრანსკის სახლში
მუზიკალური საღამო

25 სექტემბერს დაიწყება 8 საათზედ.

2 – 2

ინგლისის მაღაზიაში მიღებულია შეკოლადი და კაკაო ფრაი.

(20—2)

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში (ალექსანდროვის ბაღთან რუსის საყდრის გვერდით)

იყიდება მარი ივანეს-ძის

ბროსლეს

სურათები, თითო 30 კ. ამ სურათებისაგან შემოსული ფულით გამოიცემა თვით ბროსლეს ზგიერთი სტატიები, რომელიც ფრანცუზულის ენიდამ ქართულად ნათარგმნია.

გარეშემცხოვრებელთათვის ადრესი:

Въ Тифлисъ въ книжный магазинъ Зах. Чичинадзе.

(10—5)

ახალი გამოფენა

ოთხი თვის მოქმედების ნაყოფი

„ფილ. კოვიჩის და ამხ.“
ფოტოგრაფიისა

(საგანგებოდ ამენებულს სახლში)

ბოლოვინის პროსპექტი, თ. ი. ზუბალოვის სახლი თფილისის ქრების გვერდით, ყოველ-დღე დილის 9 საათიდამ საღამოს 8-მდე.

10—5

პატენტიანი ფოტოები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; **სარძეკვ** 30 კაპ.; **რუმკები** 5 კ.-დამ; **ფილტრები** (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და **ბედრები** 1 მან-დამ; **თეფშები** 2 მ-დამ ინიდეკ; **შოკოლადის ტაფები** 20 კ-დამ თითო ეუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—60)

ინგლისის ძალაზია
Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ნაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ნაის—1 მ. 40 კ.

— — —1—20	— —1—60
— — —1—40	— —1—80
— — —1—60	— —2— „
— — —1—80	— —2—50
საუკეთესო—2— „	— —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერ.ს, გასაგზავნს არაფერს არ დის.

(100—40)

იყიდება
ახალი წიგნი
სამწერლო
თაიგული
შინაარსი:

I. ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა **II** უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა. **III** ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა. **IV** მ... სადმი (ლექსი) ბ—სა. **V.** ფერი ფერს—მადლი დმერთს სამ მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან. **VI** ჩვენი ხვედრისადმი (ლექსი) რაფ. ერისთვისა. **VII** ხასიათის გაგლენა, სამუელ სმაილსისა **VIII** უკითხავი ბასუხი (ლექსი) ნ. დ—სა. **IX** ახალი მოგლინება ჩვენს ლიტერატურაში. **X** მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და აზნაურეოვის მაღაზიაში ბოლოვინის პროსპექტზე და „არარატის“ წიგნის მაღაზიაში მიხაილოვის ხიდთან.

ქუთაისში პ. ფ. ბერარდის წიგნის მაღაზიაში.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური, გაგზავნით სხვა ქალაქებში სამი აბაზი.

შენიშნვა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.
თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ეხლა 2 მანეთად ღირს.

(100—55)

Дозволено цензурою. Тифлисъ 25 Сентября 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი